მიღწევები

სახალხო დიპლომატიის პირველი ნაბიჯები - ორგანიზაცია ინიციატორია ერთობლივი ქართულ-აფხაზურ-ოსური შეხვედრებისა, რომელშიც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები მონაწილეობენ (1995 წლიდან);

მოძრაობა რელიგიური არატოლერანტობის წინააღმდეგ საქართველოში - მოძრაობა რელიგიური ექსტრემიზმის წინააღმდეგ (**MARIG**) დაფუძნებულია 2003 წლის ოქტომბერში კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების ცენტრის ინიციატივით;

სამხრეთ კავკასიის რეგიონული სამოქმედო გეგმა შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციისათვის - სამოქმედო გეგმა შემუშავებულია ორგანიზაციის მონაწილეობით, იგი პროცესს სამხრეთ კავკასიაში უწყვეტ კოორდინაციას;

საგანმანათლებლო პროგრამები კონფლიქტების მოგვარებასა და მშვიდობის მშენებლობაში - ტრენინგები ტარდება საქართველოს რეგიონებში (1996 წლიდან);

საგანმანათლებლო პროგრამები გენდერულ თანასწორობასა და ტოლერანტობაზე;

ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დამცველი სამოქალაქო საბჭოს შექმნა და ამოქმედება;

ორმხრივი კომუნიკაციის პროცესის წამოწყება და განვითარება რელიგიურ უმცირესობებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის;

საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის შექმნა და ამოქმედება;

სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა და გაძლიერება (არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა);

საგანმანათლებლო პროგრამები ადგილობრივი თვითმმართველობისა და სათემო განვითარების ხელშეწყობის მიზნით რეგიონებში (2003 წლიდან).



მისამართი: საქართველო, თბილისი 0105, მაჩაბლის ქ. 5
ტელ.: (995 32) 999987; (995 32) 923920
ფაქსი: (995 32) 939178; ელ.-ფოსტა: iccn@iccn.ge
WWW. ICCN.GE

ICCN

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

ცვლილებები განვითარებისთვის!

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ICCN) არის დამოუკიდებელი, არამომგებიანი და მიუკერძოებელი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის მიზანია მშვიდობისა და განვითარების ხელშეწყობა და დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერა საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში.

ICCN-ს 15-წლიანი პროფესიული გამოცდილება აქვს. ორგანიზაციის ძირითადი მიმართულებებია: კვლევა, ტრენინგი და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, აგრეთვე, სახალხო დიპლომატია. ცენტრი ერთ-ერთი პირველი ორგანიზაციაა საქართველოში, რომელიც აფხაზებთან და ოსებთან ერთად მრავალი ერთობლივი პროექტის მონაწილე და ინიციატორია. ჭკვიანური მუშაობა და კოალიციები ჩვენთვის სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და გაძლიერების ერთ-ერთი გზაა.

ICCN-ის მისია და ხედვა

ICCN-ის მომავლის ხედვას წარმოადგენს მშვიდობიანი, ტოლერანტული და განვითარებული საქართველო, ეფექტური სამოქალაქო და სახელმწიფო ინსტიტუტებითა და უფლებამოსილების თანაბარი გადანაწილებით.

ჩვენი მიზანია:

- ✓ სამოქალაქო აქტორების გაძლიერების გზით, არაძალადობრივი მშვიდობიანი გზით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარება
- ✓ სამოქალაქო აზროვნების განვითარება
- ✓ დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა.

ჩვენი ძირითადი პროგრამებია:

კონფლიქტების პრევენცია და გადაწყვეტა

კონფლიქტების პრევენციისა და გადაწყვეტის პროგრამული მიმართულება შემდეგ მიდგომებს ეფუძნება: ანალიზი, განათლება და დიალოგი კონფლიქტების მოგვარებისა და ტრანსფორმაციისათვის. ჩვენი ცენტრის ექსპერტები მუშაობენ კონფლიქტური ვითარებების მიზეზების გამოვლენასა და ანალიზზე, ატარებენ ტრენინგების დეტალებისათვის, ქალებისათვის, ახალგაზრდა ჟურნალისტებისათვის. ტრენინგების მიზანია მათ მონაწილეთა შესაძლებლობებისა და უნარების გაძლიერება, საზოგადოებრივ პროცესებში მათი მონაწილეობის ზრდა და სამოქალაქო განვითარება.

ცენტრი კოორდინაციას უწევს სამხრეთ კავკასიის რეგიონულ პროცესს შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციის გლობალური პარტნიორობის ფორმატში.

ადამიანის უფლებები/უმცირესობების ინტეგრირება/გენდერული საკითხები

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი მუშაობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით მრავალფეროვნების საკითხებზე, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მიმართ საზოგადოების, ახალგაზრდების, მედიის წარმომადგენლების, ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესებში საზოგადოების ჩართულობის გაუმჯობესებაზე.

ადამიანების ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით ორგანიზაციამ დააარსა სამოქალაქო საბჭო. საბჭო ახდენს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მიმართ მოსახლეობის განწყობების შეფასებასა და ანალიზს.

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის პროგრამა თანმიმდევრულად მუშაობს გენდერული თანასწორობის, მგრძნობელობის, ძალადობის, საზოგადოებრივ პროცესებში ქალთა მონაწილეობის გაზრდის საკითხებზე.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარება

საზოგადოებაში ლიბერალური ღირებულებების განვითარება კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ორგანიზაცია ხელს უწყობს აქტიურ და ფართო დისკუსიებს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: თავისუფლება, თავისუფლება და განვითარება, გამოხატვის/რელიგიის/მშვიდობის/არაძალადობის თავისუფლება, მრავალფეროვნება, კულტურათაშორისი დიალოგი, ადამიანის უფლებები, ხელისუფლებისა და საზოგადოების რიგი ტრანსფორმაციისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესებში.